

ა.(ა).ი.პ. ურეკის კულტურის სახლის

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

2020 წელს ჩვენი ბიუჯეტი განისაზღვრა 172 000 ათასი ლარით, აქედან სახელფასო ფონდი შეადგენდა 152 280 ათას ლარს.

კულტურის სახლში მოქმედებს სხვადასხვა წრეები: მუსიკალური სტუდია, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ურეკი,“ საესტრადო ანსამბლი, ვაჟ-მომღერალთა ხალხური ანსამბლი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, სამეჯლისო და მუსიკალური სტუდია.

აღნიშნულ წრეებში გაერთიანებულია 200 ბავშვი, არა მარტო ურეკის მაცხოვრებლები, არამედ სხვადასხვა მიმდებარე სოფლის მაცხოვრებლები.

ჩვენი პრიორიტეტია ბავშვების აღზრდა განვითარება და ფართო არეალზე მათი წარმოჩენა.

ვებმარებით მომავალ თაობას შევაცვაროთ და არ დავკარგოთ ძველი ქართული-ხალხური ტრადიციები. შევინარჩუნოთ კულტურული მემკვიდრეობა.

კულტურის სახლი უზრუნველყოფს შესაძლებლობებს კონსულტაციებისთვის და იდეების გაზიარებისთვის, ტარდება კონფერენციები და შეხვედრები

2020 წელს მოხდა ანსამბლების სრული ფორმირება. იანვარში - ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი, თებერვალში - წმინდა ვალენტინისადმი მიძღვნილი კონცერტი ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით. დაგეგმილი იყო სხვადასხვა ღონისძიებები, გასვლითი კონცერტები და ფესტივალები, თუმცა პანდემიის გამო ყველა დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო.

დაბა ურეკის კულტურის სახლის დირექტორი

ქეთევან ლორთქიფანიძე